სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

წლიური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2024 წლიან იანვარი-დეკემბერი

N1: სამეცნიერო პროექტები

1.1 სახელმძღვანელოების პროექტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N:: 47/30 26/01/2024 ბრძანების თანახმად გამოცხადდა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო და არჩევითი, ხოლო სამაგისტრო პროგრამების სავლდებულო საგნების სახელმძღვანელოების შექმნისა და განახლების კონკურსი. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 ლარი. ახალი სახელმძღვანელოს შექმნის ანაზღაურება: მაქსიმუმ - 5 000 ლარი; არსებულის (2018 წლამდე გამოცემულის) განახლება: მაქსიმუმ - 2 500 ლარი;

საკონკურსო პროექტების შერჩევასა და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- სალომე დუნდუა– კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება;
- მანანა შამილიშვილი – კომისიის მდივანი, პროფესორი, დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- თამარ დოლბაია– ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
- იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- რევაზ ჯორბენაძე – პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება;
- კონსტანტინე შუბითიძე – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

კომისიამ გამარჯვებულად ცნო შემდეგი სახელმძღვანელოს პროექტები:

- ✔ რევაზ გაჩეჩილაძის სახელმძღვანელო „საქართველო მსოფლიო ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში“,
- ✔ ასოცირებული პროფესორის, კახა ქეცბაიას სახელმძღვანელოს „სოციოლოგიის შესავალი”
- ✔ ასოცირებული პროფესორის, ნათია კუპრაშვილის სახელმძღვანელოს „ონლაინმედია“.

1.2 მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N:: 46/30 26/01/2024 ბრძანების თანახმად გამოცხადდა „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების“ კონკურსი; „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების“ განსახორციელებლად ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 50000

ლარი. ასევე, შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ამავე ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- სალომე დუნდუა - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი.
- ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
- ხათუნა მაისაშვილი - ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება
- ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
- ლაშა მათიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- თეა ვახანია - ფაკულტეტის ფინანსური კონსულტანტი.

„მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი-2024“-ის კონკურსის ფარგლებში საკონკურსო კომისიამ რეკომენდაცია გაუწია შემდეგი პროექტების დაფინანსებას:

- საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივ-გეოგრაფიული ელექტრონული ატლასი (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე; თანახელმძღვანელი: პროფესორი თამარ დოლბაია) - საკონკურსო ქულა 87.50.
- რუსეთ -უკრაინის ომის ეფექტები: ევროსკეპტიციზმი ქართულ პოლიტიკურ ელიტაში (ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი სანდრო ტაბატაძე) - საკონკურსო ქულა 87.
- საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები: ელექტორალური ქცევის რეგიონალური თავისებურებები (ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგსაძე) - საკონკურსო ქულა 83.17.
- საქართველოს ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება სკოლებში: მიზნები და შედეგები (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე) - საკონკურსო ქულა 82.50.
- სოციალური მუშაობის თავისებურებები საქართველოში (ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე) - საკონკურსო ქულა 82.

ორი საპროექტო განაცხადი არ დაფინანსდა.

1.3 „მაგისტრანტთა კვლევითი პროექტები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N: 54/30 06/02/2024 ბრძანების თანახმად ჩატარდა **„მაგისტრანტთა კვლევითი პროექტების“**

კონკურსი. „ მაგისტრანტთა კვლევითი პროექტების“ განსახორციელებლად ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 10 000 ლარი; პროექტების შერჩევას ახორციელებს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- სალომე ღუნდუა - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი.
- გიორგი გოგსაძე - პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება;
- მარიამ გერსამია - პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება
- კონსტანტინე შუბითიძე - ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
- ნინო შატბერაშვილი - ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- სანდრო ტაბატაძე - ასისტენტ პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
- თინათინ მაჭარაშვილი - ასისტენტ პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- თეა ვახანია - ფაკულტეტის ფინანსური კონსულტანტი.

კომისიამ რეკომენდაცია გაუწია შემდეგი პროექტების დაფინანსებას:

- “ინკლუზიური უმაღლესი განათლების პოლიტიკა საქართველოში: უნივერსიტეტების შედარებითი ანალიზი და ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობა” (ვანო გომურაშვილი, პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტი) - საკონკურსო ქულა 91,5
- „შრომითი მიგრაციის გამომწვევი მიზეზები გურიის რეგიონის მაგალითზე და მათი ასახვა ადგილობრივ მედიაში“ (თამარ კირკიტაძე, მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტი) - საკონკურსო ქულა 89,7

- „2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში: საზოგადოებრივი მოლოდინების შესწავლა ქალაქ გორის მაგალითზე“ (დიმიტრი შავლოხაშვილი, პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტი) - საკონკურსო ქულა 84,3

N2: სამეცნიერო ჟურნალები

2.1 სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა. სამეცნიერო ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან.

2024 წელს გამოიცა ჟურნალის 3 ნომერი. სულ გამოქვეყნდა როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სასწავლო საფეხურის სტუდენტების 19 სტატია.

2.2 გარემო და საზოგადოება

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი "გარემო და საზოგადოება" არის ღია ხელმისაწვდომობის, რეცენზირებადი ქართული და ინგლისური ელექტრონული გამოცემა, რომელიც დაფუძნებულია 2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოელ პარტნიორთა ძალისხმევით. სამეცნიერო ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების და ბუნების განვითარების ინტერდისციპლინურ კვლევათა პოპულარიზაციას; გახდეს ცნობადი საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა; დააკავშიროს ერთმანეთთან სხვადასხვა კვლევითი მიმართულების სპეციალისტები და შესთავაზოს მათ აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის ასპარეზი.

2024 წელს გამოიცა ჟურნალის ორი ნომერი. გამოქვეყნდა 12 ინგლისურენოვანი სამეცნიერო სტატია.

N3: სამეცნიერო კონფერენციები

3.1 „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა"

2024 წლის 20-22 ივნისს გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო XII სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" რომელიც ფაკულტეტის პროფესორის, რევაზ გაჩეჩილაძის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მუშაობდა ინგლისურ და ქართულენოვანი სექციები. ქართველ მომხსენებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან სულ წარმოდგენილი იყო 30 მომხსენებელი.

კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://ssp.tsu.ge/axali/

3.2 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები

2024 წელს ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა ორი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია.

3.2.1 სტუდენტთა 84-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით 2024 წლის 23-24 დეკემბერს გაიმართა სტუდენტთა 84-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. მასში მონაწილეობა ფაკულტეტის 70-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.

კონფერენციაზე იმუშავა 4-მა სექციამ :

- (მედია) წიგნიერება თანამედროვე საქართველოში,
- სტუდენტური ცხოვრება: გამოწვევები და შესაძლებლობები,
- თანამშრომლობა და კონკურენცია საგარეო პოლიტიკაში: შემთხვევათა შესწავლა,
- ადგილობრივი თვითმმართველობა და მდგრადი განვითარება საქართველოში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით 2024 წლის 16-17 აპრილს გაიმართა სტუდენტთა მე-10 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციაზე იმუშავა 4-მა სექციამ:

1. ურბანიზაცია და მისი შედეგები თანამედროვე საქართველოში (მწვანე პოლიტიკა, ტრანსპორტი, ადაპტირება, მობილობა და სხვა);
2. ეთიკა საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
3. ერი-სახელმწიფო რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში: შემთხვევათა შესწავლა;
4. ვირტუალური (თანა)საზოგადოებებისა და კომუნიკაციის ეფექტები ქართულ რეალობაში.

N4: აკადემიური პერსონალის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის No112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (https://www.tsu.ge/ka/legalakad/40871) დადგენილებით N: 115/2020, 30/11/2020 ამოქმედდა თსუ-ის აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო სახელფასო დატვირთვის სქემა. აღნიშნული სქემა განხილულ იქნა 2021 წლის 2 ივლისის (ოქმი N4) ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. 2021 წლის 17 დეკემბრის (ოქმი N9) ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 2024 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით.